# ნიანგი 3

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის, 56-ე წელი, (№ 1541)·თებერვალი 1979, ფასი 20 კაპიკი·



ნახ. გ. ამაშუკელი

— ამ ლლაპს ასე მოწიწებით რატომ მიესალმე?
— რომ გაიზრდება, დააწინაურებენ, შეიძლება, გაიხსენოს: კარგად არ მომესალმაო და დედაგუდიანად მომთხაროს!

# ენგურჰესელთა კარნავალი

დაბა ჯვარის კულტურის სასახლეში მშენებლები ძველ წელს აცილებდნენ. სადღესასწაულოდ მორთულ ფოიეს ათასფერად აბრჭყვიალებული ტანწერწეტა ნაძვის ხე ამშვენებდა.

დარბაზში „დ'არტანიანები“ „ოტელოები“, „არლეკინები“, „სანჩო პანსები“ და კლასიკურ, თუ ხალხურ ნაწარმოებთა სხვა უამრავი პერსონაჟი ირეოდა.

კედელთან გოგონა იდგა და გაღიმებული სახით მისჩერებოდა მოცეკვავე წყვილებს. შორიახლოს „ესკამილიოს“ კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი ძმაბიჭებში ჩამდგარიყო, ვითომდა მეგობრებთან საუბრით ირთობდა თავს, სინამდვილეში კი იმ გოგოს ჭვრეტდა ფარულად. არც გოგოს გამოპარვია „ესკამილიოს“ ყურადღება და ისიც ჩუმ-ჩუმად ვააპარებდა ხოლმე ვაჟისკენ თვალს. ბოლოს, ვაჟმა, როგორც იქნა, გაბედა:

— შეიძლება გეცეკვოთ... „სინიორიტა“?

— სიამოვნებით, „სინიორ“, მაგრამ, ვფიქრობ, ღირსეულ პარტნიორობას ვერ გავუწევ სახელოვან „ესკამილიოს“!..

— იცით რა! მოდით, თქვენ „კარმენი“ იყავით! — შესთავაზა ქალის თანხმობით შეთამამებულმა ვაჟმა...

„ესკამილიომ“ და „კარმენმა“ დილამდე თავდავიწყებით იტრიალეს ნაძვის ხის გარშემო. დილით კი ვაჟმა გოგონა საკუთარი „ჟიგულით“ სახლამდე მიაცილა და სთხოვა ორი დღის შემდეგ, ქვედა ჯვარში „სოიუზპეჩატის“ ჯიხურთან შეხვედროდა, საღამოს ექვს საათზე...

ორი დღის შემდეგ, შეყვარებული „ესკამილიო“ თავისი „ჟიგულით“ „სოიუზპეჩატის“ ჯიხურთან გამოცხადდა ნახევარი საათით ადრე.

გავიდა ათი წუთი, შემდეგ კიდევ ათი, ხუთმა წუთმაც რომ გაირბინა, მოულოდნელად გზაზე უშველებელი „ბელაზი“ გამოჩნდა. თვითმცლელი ჯერ თავისი გზით მოდიოდა, მერე, ერთბაშად, მარცხნივ გადმოუხვია და პირდაპირ „ესკამილიოს“ „ჟიგულისაკენ“ წამოვიდა .აი, სულ ათიოდე მტკაველით მიუახლოვდა „თვითმცლელების მეფე“ ერთ ციცქნა მანქანას. ნირწამხდარმა „ესკამილიომ“ თავს უშველა — მანქანა მიატოვა, ისკუპა და გაზონებს გადაევლო. (იმ წუთას „ესკამილიომ“, ესპანეთის თუ არა, წალენჯიხის რაიონის რეკორდი მაინც დაამყარა სიგრძეზე ხტომაში) მერე, როცა შეატყო, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდა და ეს ტრიუკი უბრალო ხუმრობა იყო, გული მოეცა და ლანძღვაგინებით სამალავიდან გამოვარდა.

— შენ რა, გაგიჟდი, ვიღაცა ოხერი ხარ?!.

— გამარჯობა, ესკამილიო, ხომ არ დავიგვიანე?

— კკკარმენ... შენა?

— დოდო კვარაცხელია, ენგურჰესის მშენებლობის მეექვსე ავტოსატრანსპორტო კანტორის „ბელაზისტი“! — გაუსწორა „კარმენმა“, შემდეგ დაუმატა, — სხვათა შორის, საბჭოთა კავშირში პირველი ბელაზისტი ქალი, მაგრამ ვინაიდან დედამიწის ზურგზე „ბელაზები“ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია, მსოფლიო მასშტაბითაც პირველი ვარ!..

სულ მალე ისინი შეუღლდნენ...

და დღეს, როცა საღამოობით სოფელ ჯვარის დაღმართზე დოდოს „ბელაზი“ ჩაივლის ხოლმე, ეზოების წინ საჭორაოდ გამოსული დედაბრები თავს აქნევენ და ამბობენ „გვალო ჯგირი ძღაბი რე ჩქინ დოდო კვარაცხელია. ოცდაშვიდტონიანი „ბელაზის“ მოვლასაც ასწრებს, ოთხმოცკილოიანი ქმრისაც და იმ ერთი ციდა ბაღანასიცო“.

თამაზ ჭეიშვილი



ნახ. ჯ. ლეისაძისა



— შვილო, უნივერსიტეტი და უნივერსამი ვერ უნდა გაარჩიო?!

# ზოგი რამ...

— მაღაზიაა?

— დიახ!

— მე, ინგლისური ქსოვილის მოყვარული გახლავართ, თანაც ცოლის თხოვას ვაპირებ და კოსტუმი მინდა შევიკერო.

— ჩვენ კოსტუმებს არ ვკერავთ!

— არა, ბატონო შეკერვა არ მითხოვია, თუ შეიძლება ერთი საკოსტუმე შევიძინო, ნაღდ ანგარიშზე.

— ოო, თქვენ იქ არ მოხვდით, ჩვენს ზემოთ კიდევ ორი სართულია!

—:—:—

— დეფიციტური საქონელი გაქვთ? — ვეკითხები გამყიდველს.

— არა! — მიპასუხა მან.

— არც ფართო მოხმარების საქონელი? — კვლავ ვეკითხები.

— არც ეგა. — იყო პასუხი.

ხალხი ირევა მაღაზიაში. ადგილიდან არ ვიძვრი. გამყიდველი მე მიყურებს, მე გამყიდველს ვუყურებ. ვატყობ, მუშაობაში ხელი ეშლება.

გამყიდველ-მომმარაგებელმა რაღაც მოიტანა, საგულდაგულოდ იყო გახვეული, ვიღაცას გაუღიმა და გადასცა. მე ვდგავარ და არ ვიღიმები. პირველმა გამყიდველმა გამიღიმა და მეორეს რაღაც უთხრა ყურში, მეორემაც ნაძალადევად გამიღიმა. მეც გავიღიმე. მან სათავსოში შემიპატიჟა. შევედი თუ არა, თვალებს არ დავუჯერე, ის რაც მინდოდა, აქ იყო. ეს რა არისო, მითხრა და ქვევით ჩამავალი კიბისკენ მიმითითა. ჩავედით.

— ამას რა ვხედავ?! — ვიყვირე.

— ჩუმად, არავინ გაგვიგოს. — ამოილუღლუღა გამყიდველ-მომმარაგებელმა. კმაყოფილი დავრჩით. მე, ბნელი გასასვლელით, ეზოში გავედი, იგი რეკლამებით განათებულ მაღაზიაში შევიდა.

ჟანი სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




სოხუმში, სატვირთო მანქანით ჩასულს, ხუთი ტონა დარჩეული მანდარინი დამახვედრეს სესირყვამ და მამსირყვამ და თან შემომჩივლეს, ცოდო არ არის, ამისთანა მანდარინი ახლა კამჩატკელების სუფრაზე არ ეწყოსო? განსაკუთრებით იქაური ბავშვები ებრალებოდათ — თვალებზე ცრემლები ჰქონდათ მომდგარი და ქვითინს ველარ იკავებდნენ.

— ნუ გეშინიათ, უჩინმაჩინის ქუდი მაქვს!— შევცინე მეგობრებს და კაბინიდან მილიციელის წითელქობიანი ქუდი გამოვიღე.

ეგ რა უჩინმაჩინიაო, ტუჩი ამიბზუეს. ავდექი და მოკლედ ავუხსენი: მსუბუქ მანქანაში რომ ვიჯექი, ეს ქუდი უკანა სარკმელთან მედო და მინდოდა — ვტაქსაობდი, მინდოდა — ავტობუსობდი, ბუზს ვერავინ მიფრენდა-მეთქი.

სესირყვამ და მამსირყვამ ტაში შემოჰკრეს, მაგრამ მაშინვე დაეჭვდნენ.

— კი მაგრამ, სატვირთოში სად დადებ მაგ ქუდს? — დაღონდა სესირყვა.

— თავზე.

— შენ თვითონ ჩაიცვამ მილიციელის ფორმას? — გაკვირდა მამსირყვა.

— არა, კაცი უნდა მიპოვოთ ვინმე, რომ გადაბრტყელებული სიფათი ჰქონდეს, ისეთი, ადვილად რომ ვერაფერი გაუბედონ.

სესირყვა და მამსირყვა ჯერ დაფიქრდნენ, მერე კი ორივემ ერთდროულად შემოჰკრა ტაში.

— დემენტია, ბიჭო!.. ლობუთი დემენტია!— იყვირა სესირყვამ.

— ზედგამოჭრილია! — დაეთანხმა მამსირყვა.

მანქანა სასწრაფოდ დავტვირთეთ და ახლა დემენტიას ვრთავდით პატარძალივით. მაიორის პაგონებით რომ შევამკეთ და გაიჯგიმა, ქონით ისე გადაისილავა სიფათი, რომ სამივენი „სმირნაზე“ დავუდექით. ხაზეინს ნაღდად ჰგავდა, მაგრამ დაბრაწული ლოყები და მორცხვი გამოხედვა ჰქონდა და იქ იყიდებოდა.

— არა უშავს, ორნახადით შევაფიცხებთ, სამი ჭიქის შემდეგ თეთრზე დაიყენებს თვალებს! — მანუგეშა სესირყვამ.

კაბინაში სამი კაცის ადგილი იყო, მაგრამ მხოლოდ დემენტია ჩავისვი, რომ რიგიანად გაფხორილიყო. სესირყვა და მამსირყვა ბრეზენტგადაფარებულ ძარაში მოთავსდნენ. კაბინას უკანა სარკმლის მინა ამოცლილი ჰქონდა და ორივე ჩემი ძმაკაცი იქიდან ხელმძღვანელობდა ჩემს გვერდით მჯდარ თავყბას.

პირველ ტეკს ვუახლოვდებოდით.

— ერთი ოტკა კიდო დოურთე და წარბი აწკიპე! — არიგებდა სესირყვა.

თავყბა არაყს სვამდა და ზედ მანდარინს აყოლებდა.

— შეწყვიტე ჭამა, შე უპატრონო, „ტიხი ხოდი“ დეიწყო, სადაცაა გამოჩნდება ტეკი!— უსისინებდა მამსირყვა.

— პირი მომუწე და გაქვავდი!.. ჩესტი ოუღე, შენიანები არიან! ორი თითი მიიტანე მაგ ჩამოღდლეზილ ყურთან! — ღელავდა სესირყვა.

არყისგან გათამამებული თავყბა გაიჯგიმა, სიფათი ქონით გადაისილავა და ხელის აწევით მიესალმა გზაზე გამოგებებულ ავტოინსპექტორს. გავიარეთ.

— უფრო მეტი სითამამე! თვალებს ნუ ბლიტავ, თავი ასწიე! რაღა დროს მორცხვობაა, მაიორი კაცი ხარ! — აქეზებდა სესირყვა.

მამსირყვა არაყს აძალებდა, უფრო გაბედული იქნებიო, ჩასჩიჩინებდა. ასე გავიარეთ კიდევ სამი ტეკი. ერთი კიდევ უნდა გაგვევლო და უკვე სამშვიდობოს ვიქნებოდით, რომ ანაზდად გემრიელი ხვრინვა შემოგვესმა, მივიხედეთ და რას ვხედავთ: დემენტიეს გოგრათავი გვერდზე გადაუგდია, ქუდი დასცურებია და მკვდარივით ძინავს...:

— დევიღუპეთ!.. — იყვირა სესირყვამ. — ნამეტანი ვასვით და იმიზაა!..

მამსირყვამ ხელი შემოყო კაბინაში და მწიფე მანდარინი თვალებზე დააჭყლიტა, დემენტიემ ტუჩებზე დადენილ მანდარინის წვენს ენა შეაგება...

— რას შობი, ბიჭო?! დემენტიე ლობუთო, გვღუპავ?! — უყვირა მამსირყვამ.

თავყბა არაფერს ამბობდა, დიდრონ თვალებს საძილედ ბლიტავდა, ქუდს ვახურავდით, მაგრამ აქეთ-იქით უვარდებოდა განივ გაწეული დიდი თავი.

— დემენტი საყვარელო, ერთი შემომხედე, თუ კაცი ხარ! — ახლა ხვეწნაზე გადავიდა მამსირყვა.

სესირყვას ყურებით ეჭირა მისი თავი და ზედ ქუდს ამაგრებდა. მეც გულმა ველარ მომითმინა და მჯილი ჩაქუჩივით დავკარი ლიპზე. თავყბამ დააბოყინა, წამოიწია და თვალებიც გაახილა.

— ემასთე! — გაეხარდა სესირყვას, — ახლა ქუდი დაიდევი თავზე და, რომ მივუახლოვდებით, ხელი ოუღე, გასაგებია?!

ბოლო ტეკს ვუახლოვდებოდით, თავყბა გარინდული იჯდა კაბინაში.

— მიესალმე, შე უპატრონო, გზაზე გამოვიდა კაცი!..

თავყბამ ძლივს ასწია ხელი და ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ცხვირს იჩიჩქნისო. გავიარეთ კი, მაგრამ ორასი მეტრიც არ გვექნებოდა გავლილი, რომ მოტოციკლებით წამოგვეწივნენ.

— დემენტიე ლობუთო, ამოგიწყდა პატრონი, დაგვღუპე ხომ შენი სალმით?! — მომესმა ავისმომასწავებელი სისინი ძარიდან და იმავ წამს სესირყვა და მამსირყვა პანტაპუნტით გადაცვივდნენ მანქანიდან...

მივხვდი, რომ მეოთხედ გავები, ამჯერად თავყბასთან ერთად.

ელგუჯა მერაბიშვილი



ნახ. მ. აბაშიძისა

— ცოლმა დაღუპა, ამბობენ, თავზე აჯდაო.
— შე კაცო, თავზე კი არა, საჭესთან მჯდარა!



## ბ ა რ ი ე რ თ ა ნ

I

რაც დადგა სიმართლე სიცრუის პირისპირ, —
დანასისხლადა ვარ ბარეორთან
და სეკუნდანტივით ჩამძახის სინდისი:
— ბარიერთან!

ყალბო გვირგვინებო, დრო არი, გავსწორდეთ,
ჯავრი არ მასვენებს კადნიერთა.
ჩემია, ჩემი
პირველი გასროლა,

— ბარიერთან!

სუფრებზე, კრებებზე მართავენ მასკარადს
და ხოტბით მრავალი გაგვიმადლიერდა.
კლოუნო,
თაღლითო,
წყეულო მასხარავ,

— ბარიერთან!

ჩვენ იქნებ ბრძოლებში სხეულით მოვბერდით,
არავინ იფიქროთ, სული დაგვიბერდა.
ვდგებით ტრიბუნასთან
თუ დაზგა-მოლბერტთან,
ვდგებით ბარიერთან!

II

გუშინ ფორთოხლის მწარე სუნი დარიალებდა
შლაგბაუმის და სემაფორის ბარიერებთან...



## ნ ა ტ ვ რ ა

ვაზია ჩვენი ბიბლია და ჩვენი ანბანიც,
ქართველმა კაცმა გალობაც კი ვაზს მიამგვანა.
. . . . . . . . . . . . . . .

სულო, მფარველო ამ პატარა კურთხეულ ქვეყნის,
ისეთ საქართველოს მომასწარ კიდევ —
ბაზარში იდგეს ქართველი გლეხი
და ნამდვილ ღვინოს ყიდდეს!..

## მე ერთი ქვეყანა ვიცი

მე ერთი ქვეყანა ვიცი, —
სამოთხის კარია ღია,
იქ მართლა გვარზე ხტის კვიცი
და სხვებიც თავის გზით ვლიან.
იქ მლიქვნელს აჭრიან ყურებს,
მაბეზღარს აჭრიან ენას,
პოეტი იქ უფრო ურევს
და ბევრი როდი აქვს წყენა.
იქ უკვე არავინ ქურდობს,
დახლიდარს არა აქვს ფაშვი
და, თუკი აჩუქე ხურდა, —
სასტიკად გაგლანძღავს მაშინ.
უქრთამოდ იღებენ მცოდნეს,
უმეცარს სჭრიან და სჯიან,
იქ აღარ სჭირდებათ ცოტნე,
თაფლი კი სუყველას სცხია.
დახლებთან არ არის რიგი,
წიგნის მაღაზიის გარდა,
არავის უნახავს იგი
არც ერთი მინისტრის კართან.
ერთი ტროლეიბუსში ადი,
რაინდი რაინდზე თვალე:
მოხუცებს უთმობენ ადგილს,
მეტადრე — ბავშვიან ქალებს.
იქ მართლა ფასდება ჭკუა,
იქ გულიც ფასდება ბავშვის,
კრიტიკა იქ აღარ ცრუობს,
პოეტებს არ უყვართ ტაში.
არცა აქვთ მეგობრის შიში,
კაცს ველარ შეხვდები მტრიანს,
ერთმანეთს არცხვენენ პირში,
ზურგს უკან არავის თხრიან.
. . . . . . . . . . . .

იმ მხარეს ოცნება ჰქვია,
იმ მხარეს სიზმარი ჰქვია,
თუ გინდათ, წავიდეთ, ძმებო,
არასდროს არ არის გვიან!

* * *

რა უცნაური ერი ვართ —
არ შეგვერხევა წარბი,
თუმც ერთმანეთში გვერევა
ჭეშმარიტი და ყალბი.
ჩემს ნაცვლად სასწავლებელში
შვილი მიიღეს ჩარჩის,
იმ ჩარჩის შვილის მაგიერ
მე გამაგზავნეს ჯარში.
ერთი გოგონა მიყვარდა,
მართლაც ერთგული ყოვლად,
სანამ ჯარიდან დავბრუნდი,
სხვამ წაიყვანა ცოლად.
საჩემო ჯილდო-ტიტული
სულ სხვას რგებია წილად.
ჩემს ნაცვლად სხვაა მსაჯული —
სხვა განაგებს და წირავს.
რაინდი ხარ და სულგრძელი,
ჩემო წმინდანო ერო,
აბა, ამდენი თავხედი
ვით გაიტანდა ლელოს?!
სხვას უხდი ქუდს და მადლობას
და კერპად იხდი ბოლოს.
მე მის მაგიერ ვარსებობ,
ის ჩემს მაგიერ ცხოვრობს.




# ბარიერთან!!!

წელს გამომცემლობა „მერანი“ გამოსცემს გამოჩენილი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიების ლაურეატის, მსოფლიო ლიტერატურის ალმანახ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორის — **შოთა ნიშნიანიძის** — ერთტომეულს.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ წიგნიდან.



## ს ა წ ო ლ ი

პროკრუსტე — ბერძნული მითოლოგიის ყაჩაღი — შეიტყუებდა ხოლმე მგზავრებს და ტახტზე აწვენდა. ვინც გრძელი აღმოჩნდებოდა, ფეხებს ჭრიდა, ვინც მოკლე — კიდურებს უჭიმავდა.

მეც შემხვედრია (არა ტყეებში
ან შარაგზებზე) ქვეყნის ამკლები —
გრძელ მაგიდებთან, რბილ სავარძლებში
ჰალსტუხიანი ავაზაკები.

ის მაგიდები სარეცლებს ჰგვანან
და კისრულობენ ცოდვას იმავეს,
ოღონდ მახვილის გარეშე, თანაც
ურჩებს ჭრიან და დამყოლთ ჭიმავენ.

და უკვე ბევრი ხმარობს შალაშინს
და სიმარჯვითაც ზოგჯერ ნებივრობს
და უკვე ბევრი დადის ქალაქში
ხელფეხმორღვეულ თოჯინებივით.

ვიცი, ისინი რა ჩიტებია!
და მართლაც ტრელი მედიდურებით
ცხოვრებას უფრო ეჭიდებიან
მაიმუნივით გრძელ კიდურებით.

ასე ვეჩვევით ყალბ სიდიდეებს,
სახელებს ვჩქმალავთ, ანდა გავკივით
(ავანსად ვკივით...) და ცოდვას ვიდებთ
ძველი ბერძენი ავაზაკივით.

ნუ დამეთრგუნოს უბრალო ქინქლაც!..
. . . . . . . . . . . .

ისე ვიცხოვრო და ისე გავძლო,
ჩემი საწოლი
(აქაც და იქაც),
არაფრით ჰგავდეს ყაჩაღის საწოლს!..

## ნ ი ღ ბ ე ბ ი

ღარიბი კაცის ნიღაბს ვიკეთებ,
არც ძუნწი კაცის ვთაკილობ ნიღაბს,
რათა სიძუნწე, ანდა სიკეთე
ვიხილო სხვათა თამაშის მიღმაც.

უხათრო კაცი ვარ იძულებით,
რომ გამოვცადო სხვაც ჩემი მსგავსი,
მეგობრის ღალატს თუ ერთგულებას
რომ უფრო მეტად გავუგო ფასი.

ხანაც მხდალი ვარ, ხან მიამიტი,
უბირი, ვინმე გამოუცდელი,
ასე ვგებულობ, — ზოგი რაინდი
რა რაინდია და რა სულგრძელი.

ხდება: არჯალ კაცს ვთამაშობ ბრბოში,
ვიცი, ასეა ზოგჯერ საჭირო,
რომ იქნებ სულში უმწეო ბავშვი,
კეთილი ბავშვი გადავარჩინო.

შენთანაც ვჩხუბობ, გებუზღუნები,
სული ტკივილით რომ უფრო ვგვემო,
მაგ დიდ სიყვარულს და ერთგულებას
რომ უფრო მეტად გავუგო გემო.

ამ წყეულ ნიღბებს იმიტომ ვიცვლი,
რომ ჩემი სახე შევინარჩუნო,
ცხოვრებას კიდევ გავუძლო ვინძლო,
ვიცხოვრო, ვწერო და ვიფაჩუნო.

და როცა დღიურ ფუსფუსის მიღმა
ღამე საკუთარ სულს ჩამახუტებს, —
მე გადავხედავ ჩამოხსნილ ნიღბებს,
როგორც ნაომარ რკინის ჩაფხუტებს.



## ო ქ რ ო

ოქროს მალავდნენ მთელი ცხოვრება,
ზოგი, ვინ იცის, სად არ მალავდა:
სკივრში, კედელში... ზოგიც — ყორესთან,
ზოგი — სახლის ქვეშ, ანდა მარანთან.

მიწაში ეგდო გაუქმებული,
ურიცხვ მონეტად, ურიცხვ ტალანტად...
მაგრამ ქვეყანა არ დავსებულა,
რამეთუ ზოგი სულში მალავდა.

## ორი სურათი

I

ჰქონდა მგლის მადა
რომაელზე არანაკლები
და შავი „ვოლგით“ სეირნობდა
ლომის ფიტული,

ტორებით ეპყრა
ყველა ტიტული...
სასტუმროები...
რესტორნები... აგარაკები...

II

აგერ ვიღაცა დედაბერი
ბოთლებს აბარებს...
გროშებს ითვლის და...
ბაზრისაკენ მიდის საბრალო...

## ს ი ზ მ ა რ ი

— ჰეი, ვინა ხარ,
თვალებზე რომ ხელებს
მაფარებ?!
— ცრემლებს გიშრალებ,
გეძალება რაკი მალ-მალე!...

— ხელებზე ხუნდებს
მადებენ და მტკივა საშინლად!..
— შე კაცო, მაჯას გისინჯავთო,
რამ შეგაშინა?!

ბოლოს დიდების პიედესტალზე
ვიდექ ფერმკრთალი ,
ტაშის გრიალში,
ფანფარების გაბმულ ხმაურში

და, როცა ყელზე ჩამომკიდეს
ოქროს მედალი,
ვიგრძენი: როგორ მოესალტა
კისერს მარყუჟი...



## ნოდარ დუმბაძე

ერთი ყრუ ვიცი მუსიკოსთა შემფასებელი,
როცა რაღაც ვთქვი, —
ყრუ ბეთჰოვენი შემახსენეს და გამაჩუმეს.

ვიცი ერთი ბრმაც (შენ ბრმა უძახე!),
ის კიდევ ხედვის საიდუმლოს ასწავლის ყველას
და არიგებს დაფნის გვირგვინებს.
როცა რაღაც ვთქვი, —
ბრმა ჰომეროსი შემახსენეს და გამაჩუმეს.

ერთ კაცსაც ვიცნობ — წმინდანებში დიდ პატივშია
(მან ამას წინათ ანგელოზის ფრთები იყიდა!),
ეშმაა-მეთქი, რომ ვიყვირე, — ჩაიქირქილეს...

დიახ, სამივეს კარგად ვიცნობ,
მაგრამ ერთხელაც

თუკი სამივემ მიცნო, ვინა ვარ —
მაშინვე ჯვარზე გამაკრავენ, ძელზე გამსვამენ,
მეგობართაგან ბევრი ლურსმანს მოარბენინებს.

მე ისევ ქურდი პოეტების იმედით ვრჩები,
ერთი რომელი მოიპარავს იმ ლურსმნებს... ვნახოთ!



## თქვენი და ჩემი არ იყოს

იყო და არა იყო რა... თავი რაღაცა ეგონა,
ამიტომ მასზე ნიჭიერს ველარ იტანდა მეგობარს,

თქვენი და ჩემი არ იყოს.

კრებაზე სიტყვას ამბობდა ოქროს ვარაყით დანაფერს,
ქუჩაში სულ სხვას ამბობდა, ან არ ამბობდა არაფერს,

თქვენი და ჩემი არ იყოს.

სმაში ყალბ სადღეგრძელოებს წარბშეუხრელად ამბობდა,
მეორე დილით ნანობდა თავის წუხანდელ ნაბოდვარს,

თქვენი და ჩემი არ იყოს.

აქებდა, რაკი აქებდნენ, უნიჭო წიგნს და მხატვრობას,
გულში კი მათი ავტორის გაქიაქებას ნატრობდა,

თქვენი და ჩემი არ იყოს.

გაქურდულ-მოტყუებული გამოდიოდა დუქნიდან,
მიმტანს კი მაინც ჩუქნიდა, თანაც მადლობას უხდიდა,

თქვენი და ჩემი არ იყოს.

ტაქსის მძღოლს ხურდას არ სთხოვდა, პასუხს არ სთხოვდა ხულიგანს,
თავხედებს, ანდა ლამაზებს ყველგან უშვებდა ურიგოდ,

თქვენი და ჩემი არ იყოს.

თქვენი და ჩემი არ იყოს, მის ბავშვებს ხშირად შიოდათ,
თვითონ კი ქვეყნის წახდენა-უწესობაზე ჩიოდა,

თქვენი და ჩემი არ იყოს.

ნახ. გ. ლომიძისა



— სად არიან თანამშრომლები?
— თამაშისაგან დაიღალნენ და შესვენებაზე გავიდნენ.

ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა



უსიტყვოდ

ნახ. გ. ფირცხალავასი



უსიტყვოდ

# საჩივრის დუმილი და ლაღადისი

### იანუსი თუ თემიდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საჩივარი** თავისი არსით ძალდატანების ამბით არის ნამოქმედი, ამას თუ თან წინადადებაც ახლავს, ის „საჩივრის და წინადადების წიგნად" ისტამბება, რომელიც განვრცობას ჰპოვებს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. თუ ვიცით საჩივრის გამომწვევი რეციდივი და მისი ბუნება, რაღასთვის გვჭირდება საჩივრის წიგნი? — ასე კი კითხულობს ზოგი, მრავალი კი უბნობს: საჩივარი აცოცხლებს და აფხიზლებს „უნებლიედ" მიძინებული სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქურუმთ!

საჩივრის წიგნის პოპულარობისათვის დიდად ზრუნავენ და მას პატრონები მაღალ დონეზე ჰკიდებენ. მაღალი დონის საჩივრის წიგნის ეტალონად გამოდგება **გარდაბნის რაიონის მუშათა კოოპერატივის გამგეობის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მაღაზიის** ჭერზე მიწებებული საჩივრის წიგნი, რომელიც მერცხლის ბუდის ფუნდამენტად გამოდგება. პულვერიზატორით ან ლაზერის სხივების საშუალებით თუ მიაწერენ იქ რამეს, თორემ სხვაგვარად შეუძლებელია! — გამოვთქვით ჩვენი აზრი, რაზეც უმალ გვიპასუხეს: მაშ, ეს მადლობა **გამყიდველების** მისამართით როგორ მოხვდა აქაო? და ალპინისტური წესების დაცვით ჩამოგვაწოდეს საჩივრის წიგნი, სადაც დითირამბებით იხსენებოდნენ ვაჭრობის მუშაკები. (ეჭვი არავის ეპარება, რომ ისინი საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვის ფილიგრანისტები არიან.) საქმემ მოიტანა და ამ მაღაზიის დირექტორს რჩევა მივეცით, საჩივრის და წინადადების წიგნი გადანათლოს ხოტბის, ტაშისკვრისა და მადლობის ალბომად. ალბათ, ამ იდეას სათანადო უწყებებშიც საკონკურსოდ წარვადგენდით. რომ **საბჭოს ქუჩაზე მდებარე „ხილბოსტანვაჭრობის" №7 მაღაზიის (დირექტორი არამ მიკრტიჩიანი)** საჩივრის წიგნში არ ამოგვეკითხა მომხმარებელ **სტეპანიანის** ჩანაწერი იმის შესახებ, 1978 წ. 29 სექტემბერს გამყიდველმა **ვანო ოქროპირიძემ** როგორ დააკლო ოთხი კილოგრამი ყურძნის ყიდვისას ასორმოცდაათგრამიანი მტევანი. ამის შესახებ მაღაზიაში არ არსებობს რაიმე რეაგირება. თუმცა კი მოგვითხრეს **ვ. ოქროპირიძის** დასჯის ბრძანება ზევით — ლ. სიხარულიძესთან ინახება, წადით და იქ ნახეთო!

როცა გამყიდველი **ვ. ოქროპირიძე** კვლავ გაიმეორებს წონაში დაკლების თავის რეკორდს, ეჭვი არავის ებადება, რომ ამ მაღაზიის დირექტორი მიღებული ზომების მოკლე შინაარსს შეიტანს საჩივრის წიგნში.

**საბჭოს ქუჩის 99-ე ნომერში მდებარე ცეკავშირის კოოპერაციული ბაზრის ქრონიკები: ა. ჯიქიძემ 1977 წ. 5 ივნისს იყიდა სამკილოგრამამდე ხორცი, აქედან ნახევარი კილო ქონი იყო. ჯიქიძეს ქონის წალებაზე პროტესტი გამოუთქვამს, რაზეც გამყიდველმა გაბანაშვილმა ენაწყლიანად უპასუხა: „გინდა წაიღე, გინდა არაო!"** ვინმე ბახუტაშვილი კი წერს: **„1978 წლის 8 XII, დილის ათ საათზე, გამყიდველი ვასილიევი სექციაში არ იმყოფებოდა, იდგა სექციის გარეთ მომხმარებელივით!"** როგორც წესი, „თამაშგარე" მდგომარეობისათვის ვასილიევი ყვითელი ბარათით — გაფრთხილებით დასაჩუქრდა.

1978 წლის 22 ოქტომბერს **ა. ჯიქიძე** კვლავ აიძულეს, რომ ჩაეწერა შემდეგი სტრიქონები: **„3 კგ თეთრ პურზე და 3,25 კგ რუხ პურში გამყიდველმა ალილუევამ გადამახდევინა 2 მან. და 15 კაპ., ე. ი. 33 კაპიკით მეტი!"** როგორც გვარწმუნებენ, ამ კაპიკობანაზე შედგება ამხანაგური სასამართლო და, იმედია, მსაჯულები დაამეგობრებენ მყიდველსა და გამყიდველს.

### რომელია მათხოვარი?

**ყველასთვის** ცნობილია, რომ მათხოვრად ითვლება ის, ვისაც სამათხოვროდ ხელი აქვს გაწვდილი. მათხოვრობის ცნება თანამედროვე სტილში გადაამუშავეს და პიესის სახით მოგვაწოდეს **ოქტომბრის ქუჩაზე მდებარე „რაიკვებვაჭრობის" მე-19 მაღაზიის გამყიდველმა ჩიქვინიძემ**, მყიდველმა **გოზალიშვილმა** და სხვამ. პიესას პირობით ვუწოდეთ „პონჩიკის მსხვერპლი".

**მოქმედი პირნი:**

**გამყიდველი ჩიქვინიძე**

**მყიდველი ზ. გოზალიშვილი**

**უმოქმედო პირნი:**

**ა. ყირიმელი, მ. ჩიგოგიძე და ვ. ჯოხაძე.**

იხსნება ვაჭრობა.

**ჩიქვინიძე:** „პონჩიკი" გინდათ?

**გოზალიშვილი:** დიახ!

**ჩიქვინიძე:** რიგში ჩადექით!

**გოზალიშვილი:** ზუსტად რომ გაძლევ, იმიტომ მიბიძგებ რიგში, შე მათხოვარო?!

**ჩიქვინიძე:** მათხოვარი შენა ხარ!

**გოზალიშვილი:** მომეცით საჩივრის წიგნი!..

საუბარში ერევა **ა. ყირიმელი.**

**ყირიმელი:** „მე, ყირიმელი ამალია გიორგის ასული და სხვანი ვიდექით რიგში პონჩიკზე, ამ დროს მოვიდა მოქალაქე გოზალიშვილი, რომელიც ურიგოდ აპირებდა პონჩიკის შესანსვლას. გამყიდველმა კი შეაჩერა. მან კი გამყიდველს მათხოვარი უწოდა, რასაც დამიდასტურებენ ჩიგოგიძე და ჯოხაძე!"

ჩვენ კი დაველოდოთ მაღაზიის გამგეს **ნელი ქურციკიძეს**, როდის მოახდენს ამ ფაქტზე რეაგირებას. და თუ მიიღებს ზომებს, მყიდველებს საჩივრის წიგნის საშუალებით აცნობოს: პიესის გმირებიდან რომელია მათხოვარი?!

### დაცვითი ვარიანტი

**როცა „თბილფეხსაცმელვაჭრობის" საქარხნო რაიონის მე-17, პირველი სასურსათო მაღაზიებისა და უნივერმაღების** საჩივრის და წინადადებების წიგნები გადავფურცლეთ, არც ავი და არც კარგი სიტყვა არ იყო ჩაწერილი. თუ მართლა ისე მუშაობენ, რომ სასაჩივრო არაფერი აქვთ, ბარაქალა მათ! ეჭვი იბადება, საჩივრის წიგნებს ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზასავით" ხომ არ იცავენ? კარგი იქნება, ამნაირი სტილით მომუშავე მაღაზიებმა და უნივერმაღებმა თავიანთი საჩივრის წიგნები სიტყვაგაუმტარ მინაში ჩასვან და გამოფინონ ვიტრინებში. დაგვიჯერეთ, ამ ხელოვნების ნიმუშებს ბევრი მნახველი ეყოლება და საქონლის რეალიზაციის გეგმაც შესრულდება.

**ა. ადიხეი**
**მ. კუხალაშვილი**

# ჩაჩ-ი სტუმრად ნიანგთან

ტიმერ არსლანი

## წაუკითხავი წიგნების მსხვერპლი

ფატხულისლამი ნაქრთამალ ფულსა
სხვისებრ მიწაში არა მალავდა —
წიგნებს იძენდა, თაროს ავსებდა,
სულს ინილბავდა — ყოფად
უფლისა...
დაბოლოს, როცა ქაღალდის სუნმა
იგი დაათრო და გააბრუა, —
მძინარს დაასკდა თარო-წიგნები
წაუკითხავი ფრაზა-რითმები...
სული აღმოხდა — სიტყვა არ
დასძრა,
უგუნურების ერგო წილხვედრი!

ნახ. ი. ხაჭატამიროვისა




უსიტყვოდ

ნახ. ვ. კოჟმილინისა



— თქვენს კარებს სათვალ-თვალო ხომ არ დაუყენო?
— არა, ისეც კარგად ვხე-დავ!

შამილ გუბაიდულინი

## ძ ღ ვ ე ნ ი

**გულივერი** ეაჯა თავის თანამშრომელს კლარა პენკინს და ყურში უჩურჩულა:

— ქალბატონო კლარა! მე თქვენთან ერთი დელიკატური თხოვნა მაქვს: ჩემს სიცოცხლეში პირველად მივემგზავრები შავიზღვისპირეთისკენ. ყველაფრით მეწყობა ხელი, მხოლოდ თვითმფრინავის ბილეთის შოვნა გამიძნელდა, ამ ტრაგედიიდან მხოლოდ თქვენ გამომიყვანთ, თქვენ ხომ აეროპორტის სალაროებში ნათესავი გყავთ, რომელიც ბილეთებზე დომინირებს. რა იქნება, დამეხმარეთ! ამ სიკეთეს მე ძღვენის გარეშე არ ჩავატარებ!

— არავითარი ძღვენი არ მინდა, თუ ჩემს ძალას არ აღემატება, გავაკეთებ! — ღიმილით უპასუხა ქალბატონმა კლარამ.

. . .

გავიდა ხანი. გულივერი დაბრუნდა შავიზღვისპირეთიდან გაშავებული — გამოჯანმრთელებული, მაგრამ რატომღაც მწუხარე სახისა. ალბათ, იმიტომ, რომ კლარას ძღვნად ოთხი ცალი ლიმონი მიართვა დამადლებით:

— მე ვთქვი: იქნება ძღვენი და სიტყვაც შევასრულე!

— გმადლობთ! — უპასუხა კლარამ, — სიმართლე გითხრათ, შეწუხებად არ ღირდა!

გულივერი მისწვდა კლარას ყურს და სახეაწითლებულმა უჩურჩულა:

— იმ ზღვისპირეთში ტყავი გამძვრა, ისე ჩამოველ, კაპიკი არ მომყოლია სახლამდე!..

— რას ამბობთ, მითხარით! რამდენი გნებავთ?!

— მანეთი! — უპასუხა გულივერმა.

. . . ერთი წლის შემდეგ, გულივერი კვლავ ეაჯა ქალბატონ კლარას:

— ისევ თვითმფრინავის ბილეთზე გაწუხებთ, ჩემს ცხოვრებაში მეორედ მივდივარ შავიზღვისპირეთში, როგორც წესი, არ დაგტოვებთ ძღვენის გარეშე!

— რის ძღვენი, რა ძღვენი! მე ხომ იმაში მანეთი გადაგიხადეთ?! — განცვიფრდა კლარა.

— მანეთი?! კი მაგრამ, ოცდახუთი კაპიკი კიდევ დარჩა თქვენზე, მე ხომ ის ოთხი ცალი ლიმონი რესტორანში ვიყიდე, თანაც დარიცხვით!

თარგმნა ა. ადეიშვილმა

## ფრაზები

● **თუთიყუშმა** თუ ერთი საკუთარი სიტყვა მაინც თქვა, არ შეიძლება, ის უნიჭო იყოს.

● **ვინც** თავის ტყავს უფრთხილდება, მას სხვისი ტყავი ფეხებზე ჰკიდია.

● **ვირის** ყურებით ვირის ლანძღვის მოსმენა უაზროა.

● **ცხრაფეხას** ცეკვით ვერ დაღლი.

● **ცხენის** კომპასი მათრახია.

● **ერთი** ციცინათელა სოფელს ვერ გაანათებს.

● **კურდღელი** თუ არ შეაშინე, სირბილის ფორმას ვერ შეინარჩუნებს.

ავთანდილ ქიმერიძე

● **კაცი**, რომელიც სიმაღლეზე ფიქრობდა, დაბალი იყო.

● **თბილ** ადგილას მუშაობდა, მაგრამ სუსხი მაინც აწუხებდა.

● **თავზე** ადგილი აღარა ჰქონდა, თორემ ყველა დააჯდებოდა.

ჰამლეტ ჩაჩიბაია

ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა



უსიტყვოდ

ნახ. თ. გოგოლაძისა



უსიტყვოდ

№ 108
14.II 79

7 - 79

79 - 108

ეროვნული ბიბლიოთეკა

76187

ნახ. გ. ლომიძისა




ქარსგატანებული მილიარდები

მთავარი რედაქტორი ზურლან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოდუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 8/I 79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/II 79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 87 უე 00639 ტირ. 158.350 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ჰ. დეისაძე, ო. დემეტრაშვილი, ვ. კოსმილინი, გ. ლომიძე, კ. ფირცხალავა, ნ. ქელეხსაშვილი, ი. ხანტემიროვი.